

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ. თელავი

2016 წლის 22 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნუგზარ ცაძიკიძე, დავით თუშიშვილი,
ნოდარ ჯანდიერი, ივანე ქევიციანი,
ზურაბ ლილუაშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს იურისტი გიორგი დათუკიშვილი.

დღის წესრიგი:

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა.

მომხს. ნ.ხვისტანი

მოისმინეს: 1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა.

მომხს. ნ.ხვისტანი


ნანა ხვისტანი ადნიშნა, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შემოტანილია, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 90 მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 86-ე მუხლის დარღვევით. კერძოდ: ამა წლის 17 თებერვალს შემოტანილ იქნა გაკნკარგულების პროექტი მხოლოდ 1 ფურცლად, ხოლო არსებული დოკუმენტი შემოტანილ იქნა 13 აპრილს.

აზრი გამოთქვას: ნუგზარ ცაძიკიძე დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას.

დავით თუშიშვილი ადნიშნა, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შემოტანის ვადები არის დარღვეული, რის გამოც უნდა მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

გადაწყვიტეს: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე

6. 

ნანა ხვისტანი